„დანართი № 6"
20.01.12წ

# ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე

(შემსყიდველი ორგანიზაცია)

(შევსების თარიღი)

ბიუჯეტი

1. დაფინანსების წყარო ---------------------------------- გამარტივებული შესყიდვა
2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: ----------------------------------------------------------------------------------------

21.10.11წ – 21.11.11წ

3. შესყიდვის პროცედურების განხორციელების ვადები ——————————————

№ 9

4 ხელშეკრულების ნომერი ------------------------------ 21.11.11წ
5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ------------------------------------------------------------

სამეურნეო საქონელი

6. შესყიდვის ობიექტის დასახელება ------------------------------------------------------------------------------------------

1462.60 ლარი

7. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ------------------------------------------ 1462.60 ლარი ცალი
8. შესყიდვის საერთო ღირებულება, რაოდენობა ან მოცულობა (ხელშეკრულების მიხედვით). -------------------------; ---------------------------------

(ღირებულება) (რაოდენობა ან მოცულობა)

9. ჰქონდა თუ არა ადგილი ხელშეკრულების პირობების შეცვლას:

☐ დიახ ☐ არა

10. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რამდენი %-ით გაიზარდა ან შემცირდა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი: + ------- %. – —— %.

11.. ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ:

10.1 ინფორმაცია მიწოდებული საქონლის შესახებ

| № | მიწოდებული საქონლის, დასახელება | ფაქტიურად მიწოდებული საქონლის რაოდენობა ან მოცულობა | ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ერთეულის ფასი | ფაქტ. მიწოდებული საქონლის მთლიანი ფასი(შესყიდვის ღირ-ბა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | 3 | 4 | 5 |
| 1 | საპონი | 50 ც | 0.50 | 25 |
| 2 | კომეტი24/7 | 20 ც | 5 | 100 |
| 3 | პრონტო მაგიდის | 15 ც | 4.50 | 67.50 |
| 4 | პრონტო იატაკის | 10 ც | 5.50 | 55 |
| 5 | ფეირი | 10 ც | 3.20 | 32 |
| 6 | ხელთათმანი რეზინის | 52 ც | 2.20 | 114.40 |
| 7 | რაკშა | 6 ც | 1.20 | 7.20 |
| 8 | იატაკის ჯოხი ტილოთი | 2 ც | 15 | 30 |
| 9 | გუბკიანი ჯოხის გუბკა | 4 ც | 5 | 20 |
| 10 | ცემენტინი | 2 ც | 14 | 28 |
| 11 | სალებავის ამომღები | 2 ც | 12 | 24 |
| 12 | ტყავის საწმენდი სითხე | 2 ც | 10 | 20 |
| 13 | ნაგვის ცელოფანი | 100 ც | 1.50 | 150 |
| 14 | აეროზოლი | 20 ც | 2.50 | 50 |
| 15 | შუშის საწმენდი სითხე | 25 ც | 4 | 100 |
| 16 | ტუალეტის ქაღალდი | 70 ც | 0.50 | 35 |
| 17 | კანალიზაციის ტროსი | 2 ც | 10 | 20 |
| 18 | ტისკი | 1 ც | 70 | 70 |
| 19 | სვერლო რკინის | 2ც | 20 | 40 |
| 20 | სვერლო პაბედიტი | 1 ც | 20 | 20 |
| 21 | ატვიორკის ნაკრები | 2 ც | 20 | 40 |
| 22 | ცოცხი | 10 ც | 5 | 50 |
| 23 | ნათურა 500 | 20 ც | 4 | 80 |
| 24 | ელექტრო სალესი | 1 ც | 120 | 120 |
| 25 | სალფეთქი | 70 ც | 0.55 | 38.50 |
| 26 | გუბკა შკურკა | 2 ც | 2 | 6 |
| 27 | ბოქლომი | 1 ც | 5 | 5 |
| 28 | წებო ემულსია | 1 ც | 10 | 10 |
| 29 | წებო | 1 ც | 5 | 5 |
| 30 | ეზოს ცოცხი | 25 ც | 4 | 100 |
| | | | | სულ ჯამი: 1462.60 ლარი |

11.2. ინფორმაცია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოსა და/ან ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ 1462.60 ლარი

ფაქტიურად შესრულებულია: 11.2.1 სამუშაოს ---------- %, რომლის შესაბამისი ღირებულებაა ——————————.

11.2.2 მომსახურების ---------%, რომლის შესაბამისი ღირებულებაა -----------------.

1462.60 ლარი

12. მიმწოდებლისათვის ფაქტიურად გადახდილი თანხა (საკასო შესრულება)---------------------------------------------

13.. საანგარიშო წლის ბოლოსათვის მიმწოდებელთან წარმოქმნილი დავალიანება:

დებიტორული ------------ კრედიტორული ------------

12. იყო თუ არა გამოყენებული საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო:

13.1 დიახ: ☐ იყო შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ 12.2 ☐ არა

☐ იყო მიმწოდებლის მიმართ

13.1.2 საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ მისი ფორმა, და ოდენობა:

| | საჯარიმო სანქციების ფორმა | საჯარიმო სანქციების ოდენობა |
|---|---|---|
| | | |

ი/მ „მამუკა შველიძე" ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის №87

14. მიმწოდებელი ორგანიზაციის სრული დასახელება და მისამართი: ---------------------------------------------------------------

15. მიმწოდებელი ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: --------------- ი/მ მამუკა შველიძე

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

# ხელშეკრულება № 9
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (საქონლის შესყიდვა )

ქ. თბილისი 21 ოქტომბერი 2011 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში-შემსყიდველი), მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში-მიმწოდებელი) ი/მ "მამუკა შველიძე"-ს სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01 12 08 03-ის ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. 2011 წლის ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, ბიუჯეტის სახსრებით სამეურნეო საქონლის შესყიდვისათვის თანხების გამოყოფის შესახებ. შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: სამეურნეო საქონლის შესყიდვა.

### 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით ლარებში . შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი: საპონი 50ცX0.50=25ლ, კომეტი 24/7 20ცX5=100ლ, პრონტო მაგიდის 15ცX4.5=67.50, პრონტო იატაკის 10ცX5.50=55ლ, ფეირი 10ცX3.20=32ლ, ხელთათმანი რეზინის 52ცX2.20=114.40ლ, რაკშა 6ცX1.20=7.20, იატაკის ჯოხი ტილოთი 2ცX15=30ლ, გუბკიანი ჯოხის გუბკა 4ცX5=20ლ, ცემენტინი 2ცX14=28ლ, საღბავის ამომღები 2ცX12=24ლ, ტყავის საწმენდი სითხე 2ცX10=20ლ, ნაგვის ცელოფანი 100ცX1.50=150ლ, აეროზოლი ჰაერის 20ცX2.50=50ლ, შუშის საწმ.სითხე მისტერ მუსკული 25ცX4=100ლ, ტუალეტის ქაღალდი 70ცX0.50=35ლ, კანალიზაციის ტროსი 2ცX10=20ლ, ტისკი 1ცX70=70ლ, სვერლო რკინის 2ცX20=40ლ, სვერლო პაბედიტი 1ცX20=20ლ, ატვიორკის ნაკრები 2ცX20=40ლ, ცოცხი 10ცX5=50ლ, ნათურა 500-ნი 20ცX4=80ლ, ელექტრო სალესი 1ცX120=120ლ,სალფეთქი 70ცX0.55=38.50, გუბკა შკურკა 3ცX2=6ლ, ბოქლომი 1ცX5=5ლ, წებო ემულსია 1ცX10=10ლ, წებო 1ცX5=5ლ, ეზოს ცოცხი 25ცX4=100ლ.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 1462.60(ერთიათასოთხასსამოცდაორი)ლარი 60 თეთრი.

### 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

### 4. შესრულების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესრულების ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 2011 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

4.2. შესრულების მიწოდების ადგილია: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, დ.აღმაშენებლის გამზირი № 103.

4.3. შესრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედდებულის დავალებით.

### 5. შესყიდვის მიღება - ჩაბარების წესი

5.1. შესრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ავანსად ეროვნული ვალუტით ლარებში, მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 2011 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

6.2 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

### 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მომწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მომწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშერულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითივადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 2011 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია დამკვეთი ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თამაზ ანდღულაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზეზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"

"ქართული ფოლკლორის
მოსწავლეთა სასახლე"
ს/კ 202056069
მის: დ. აღმაშენებელის №103
სს „ლიბერთი ბანკი"-ს

დიდუბის ფილიალი
ჩუღურეთი №2 ს/ც
ა/ა GE41LB0115174053177000
ბ/კ LBRTGE22
ტელ: 95 94 73

დირექტორი: [signature]

თამაზ ანდღულაძე

„მიმწოდებელი"

ი/მ "მამუკა შველიძე"
ს/კოდი 18001004132
მის: წინამძღვრიშვილის ქ.№87
სს "საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE07BG0000000127277100
ბ/კ BAGAGE22

ტელ: 855 727 273

ინდ/მეწარმე : [signature]

მამუკა შველიძე